0 : 0-მა არ მოგატყუოთ

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 27 აპრილი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) - “დინამო” (თბილისი) - 0:0.

“ზენიტი”: შაპოვალენკო, ბულავინი, ნაუმოვი, ლოხოვი (იზვეკოვი), იუმაკულოვი, სადირინი, ვოტოლოვსკი, ვიუნი, ბურჩალკინი, გონჩაროვი, უნამოვი (პოლიაკოვი).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

მსაჯი: ს. არხიპოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 4:2 “ზენიტის” სასარგებლოდ.

კარგა ხანია ლენინგრადელ ფეხბურთის მოყვარულებს არ უნახავთ ასეთი საინტერესო, დაძაბული და მწვავე მომენტებით აღსავსე თამაში. ისინი 90 წუთის მანძილზე მოწმენი იყვნენ ნამდვილი დიდი ფეხბურთისა, სადაც ორივე გუნდმა არ დაიშურა ძალა წარმატების მისაღწევად. 0 : 0-მა არ მოგატყუოთ: ეს არ იყო “დიდოსტატური ყაიმი”!

“ზენიტმა” კარგად გაითვალისწინა, რომ საქმე ჰქონდა ლიდერთან და ძალზე ზუსტად დაგეგმა მატჩი. მასპინძლები ცდილობდნენ მინიმუმამდე დაეყვანათ უზუსტობა გადაცემებში და კოლექტიური ძალით ემოქმედათ კონტრშეტევებისას. გუნდმა შეძლო ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა და თბილისელები საკმაოდ ხშირად იყვნენ რეალური საფრთხის წინაშე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხურცილავა, რომელიც ცნობილია თავისი მოულოდნელი რეიდებით, ვერ ტოვებდა საჯარიმო მოედანს. იყო შემთხვევა, როცა ზენიტელი ვიტოლოვსკი 5-6 მეტრის მანძილზე დარჩა ურუშაძესთან პირისპირ, მაგრამ ამ ორთაბრძოლაში გამარჯვება მეკარეს ხვდა წილად.

არაერთხელ მოუხდა თამაშში ჩარევა შაპოვალენკოსაც, მაგრამ შეხვედრა დამთავრდა და გოლის გატანა ვერ შეძლო ვერც ერთმა მხარემ.

ამ მატჩში დანიშნული იყო 2 პრიზი საუკეთესო მოთამაშეებისთვის. ისინი გადაეცათ ლ. ბურჩალკინსა და გ. ნოდიას.

ა. გელერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 29 აპრილი, 1969 წ.